

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის სტრუქტურა და
რისკ ფაქტორები

ტასო ნეფარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში*

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ტასო ნეფარიძე

2015 წელი

აბსტრაქტი

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სადღეისოდ განიხილება, როგორც სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი მსოფლიოში. არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით ნახევარი გამოწვეულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით. ექსპერტთა შეფასებით ეს რიცხვი 2030 წლისათვის 23,6 მლნ.-ს მიაღწევს.

2013 წელს საქართველოში სიკვდილიანობის ძირითად მიზეზებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წილი 38.5% იყო.

2014 წელს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში ნამკურნალევ პაციენტთა რაოდენობა შეადგენდა 7068-ს, გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობა 93-ს. შესაბამისად ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენს 1.3-ს. ლეტალობის მაჩვენებელი 0.8 ერთეულით (65%) ნაკლებია წინა წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით (2.1)

რისკ ფაქტორები. კადიოვასკულური დაავადებების უმრავლესობა გამოწვეულია ისეთი რისკ-ფაქტორებით, რომელიც შესაძლებელია გაკონტროლდეს მოდიფიცირდეს , როგორიცაა: მაღალი არტერიული წნევა, ქოლესტეროლი, ჭარბი წონა/სიმსუქნე, თამბაქოს მოხმარება, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა და დიაბეტი. თუმცა ამავე დროს არსებობს ისეთი რის-ფაქტორები რომელთა კონტროლი არ არის შესაძლებელი მაგალითად ასაკი, სქესი, მემკვიდრეობა..

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა 2014 წლის განმავლობაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილი 93 პაციენტის ისტორიები. კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შემდეგ რისკ-ფაქტორებზე: არტერიული ჰიპერტენზია, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, მემკვიდრეობითი ფაქტორი, MBI მასის ინდექსი.

კვლევაში შესწავლილ 93 პაციენტთაგან 50 პაციენტი ანუ 53,8% მდედრობითი სქესის იყო, ხოლო 43 პაციენტი 46,2% მამრობითი სქესის.

კვლევის შედეგებიდან ჩანს რომ ლეტალურ შემთხვევებში რისკფაქტორებიდან ყველაზე მეტი პროცენტული წილი არტერიული ჰიპერტენზიას უკავია 86%.

შემდეგ მოდის მემკვიდრეობა 84,9%, ჭარბი წონა 82,8%, თამბაქოს მოხმარება 34,4% და ყველზე მცირე 7,5% ალკოჰოლ დამოკიდებულება.

გაიცა რეკომენდაციები თუ როგორ შეიძლება რისკ-ფაქტორების კონტროლი და მოდიფიცირება ხოლო არამოდიფიცირებად რისკ-ფაქტორების მქონე ადამიანებს მიეცა რეკომენდაცია ექიმთან რეგულარულ ვიზიტზე.

Abstract

Cardiovascular diseases, today considered as a major cause of mortality in the world. Noncommunicable disease deaths are caused by cardiovascular disease by about half. Experts estimate the number 2030 will reach 23.6 million.

In 2013, the major causes of cardiovascular disease mortality in Georgia's share was 38.5%.

In 2014, the number of patients treated Chapidze Emergency Cardiology Center 7068's, the number of patients who died was 93. Accordingly mortality rate of 1.3's. Lethality rate of 0.8 units (65%) less than the same figure for the previous year (2.1)

Risk factors. Most diseases are caused by kadiovaskuluri risk factors that can be modified to control, such as: high blood pressure, cholesterol, overweight / obesity, smoking, lack of physical activity and diabetes. But at the same time there are many factors which control is not possible, for example age, gender, heredity ..

The quantitative research was examined in 2014 years, was 93 cardiovascular disease patient stories. The study focuses on the following risk factors: hypertension, tobacco use, alcohol dependence, hereditary factors, MBI mass index.

From letal 93 patients, 50 patients were female and 43 patients male.

The results show that most of the fatal cases the risk factors of hypertension in the percentage of 86%.

84.9%, followed by the legacy of excess weight, approximately 82,8%, 34.4%, tobacco use and alcohol dependence at least 7.5%.

Issued recommendations on how to control and modify risk factors. People with unmodify risk factors was recommended to visit the doctor regularly